ინფორმაცია *dvv international*-ის შესახებ

უკვე 40 წელიწადია, რაც **სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი *(dvv international)*** ხელს უწყობს ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების სფეროში პროგრამების ჩამოყალიბებას, მათ განხორციელებას და გამოცდილების ურთიერთგაცვლას თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მრავალრიცხოვან პარტნიორ ქვეყნებში. 2002 წელს დაარსდა ***dvv international***-is saqarTvelos filiali.

საქართველოში ***dvv international***-ის მოღვაწეობას აფინანსებენ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო **(BMZ)** და **ევროკომისია (EC)**.

მიზნები და პრიორიტეტები

dvv international-ის საქართველოს ფილიალის საქმიანობის მიზანია ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების ეროვნული სისტემის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ამ გზით სიღარიბის დაძლევაში წვლილის შეტანა.

საქართველოს ფილიალის მთავარი ამოცანაა საგანმანათლებლო საქმიანობისა და შესაბამისი სტრუქტურების წახალისება. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები ორიენტირებული იყვნენ შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნილებებზე. გარდა ამისა, ფილიალი შეისწავლის და აანალიზებს ზრდასრულთა განათლების სექტორს და გამოსცემს სპეციალურ ლიტერატურას.

უმნიშვნელოვანესი ადგილი ფილიალის მოღვაწეობაში უჭირავს PR და ლობისტურ საქმიანობას ზრდასრულთა განათლებისა და **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის** პოპულარიზაციისათვის, როგორც ფართო საზოგადოებაში, ასევე სახელისუფლებო და ბიზნეს წრეებში.

ინფორმაცია პროექტების შესახებ

პროექტები

„იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში“

„იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში“

დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ

პროექტებს ახორციელებენ

- სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (*dvv international*)

- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ACF

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლის რეგიონში განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამ მიზნის მისაღწევად, მათი კოლექტიური განსახლების ადგილას განხორციელებული

იქნება თემის წევრების დამატებით განათლებაზე და მათ შესაძლებლობათა ზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

პროექტის მთავარი მიზნის მისაღწევად გერმანულმა ორგანიზაციამ *dvv international*-მა, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში დააფუძნა სათემო განათლების ცენტრები ჯვარში, სენაკში, კოდასა და შაუმიანში. 2010 წლის 8 თებერვლიდან, აღნიშნულ ცენტრებში ნებისმიერი ასაკის ადგილობრივ და იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის უფასო მომსახურეობა:

- **კომპიუტერის შემსწავლელი კურსები;**
- **უცხო ენების შემსწავლელი კურსები;**
- **სახელობო და პიროვნული განვითარების კურსები;**
- **პროფესიული გადამზადების კურსები;**
- **ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები;**
- **ახალგაზრდული პროგრამები;**
- **კონსულტაციები სამართლებრივ და სოციალურ საკითხებზე და სხვა.**

dvv international **იწვევს ახალგაზრდებს ვისაც აქვს სურვილი მოხალისეებად იმუშავონ სათემო განათლების ცენტრებში. თქვენ გეძლევად საშუალება თავად შექმნათ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო კურსი და თავადვე ჩაატაროთ ეს კურსი როგორც** *dvv international***-ის ტრენერმა. ჩვენ გთავაზობთ:**

- **კომფორტულ და მეგობრულ გარემოს;**
- **თქვენი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას;**
- **სერტიფიკატებსა და სარეკომენდაციო წერილებს (უმაღლეს სასწავლებელში ან სამუშაო ადგილზე წარსადგენად);**

მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

ტელ/ფაქსი: (+995 32) 25 17 52 , 91 34 75

ელ ფოსტა: info@dvv-international.ge

მობ. 877 50 14 70 - irakli WeliZe